ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რეკომენდაციების“ შესაბამისი კომპლექტი. ლაბორატორიული აღჭურვილობა განთავსებულია ღია თაროებზე. ლაბორატორიაში არის დიდი ფანჯარა, რომელიც გამოიყენება ბუნებრივი განიავების საშუალებად. ლაბორატორიაში არ ფუნქციონირებდა წყლის ნიჟარა ონკანით.<br><br>სტანდარტის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია ლაბორატორიაში დამონტაჟდეს წყლის ონკანი და ლაბორატორიული ინვენტარი განთავსდეს ისეთ დახურულ (ან გამჭვირვალე) კარადაში, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომი არ იქნება მოსწავლეთათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ● ვიზუალური დათვალიერება;<br>● “ინსტა ჯორჯიასგან” შესყიდული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ზედნადები N033;<br>● ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>● მიღება-ჩაბარების აქტი;<br>● გასაუბრება ადმინისტრაციასთან და ქიმიის პედაგოგთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო დაწესებულებაში არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. ყველა საკლასო ოთახს გააჩნია ფანჯარა. არის გათბობის ცენტრალური სისტემა.<br><br>სკოლაში არის მოქმედი 18 სველი წერტილი. საიდანაც მოქმედია 10 - ვაჟების, გოგონების, სკოლის თანამშრომლებისა და შშმ პირისათვის. 8 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სველი წერტილი მოწყობილია პირველ სართულზე და არ არის მოქმედი. სველ წერტილები აღჭურვილია ქაღალდით, თხევადი საპნით და ქაღალდის ხელსახოცებით. ვიზიტის პერიოდში სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კომუნალურის გადახდის ქვითრები;<br>• ვიზუალური დათვალიერება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო დაწესებულების მესამე სართულზე მდებარეობს ბიბლიოთეკა და სამკითხველო ოთახი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ჟურნალ-გაზეთები, მხატვრული, მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურა. საინვენტარო წიგნების მიხედვით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენდა 1899 ერთეულს: სასწავლო სახელმძღვანელოები - 837; მეთოდური - 155; მხატვრული - 821; სამეცნიერო - 82; ჟურნალ-გაზეთები - 4.<br><br>წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და განლაგებულია თემატურად. არის მკითხველის სააღრიცხვო ბარათები და წიგნების მოძრაობის ჟურნალი. ბიბლიოთეკაში არის 1 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი.<br><br>სკოლის ბიბლოთეკარის ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობები გაწერილია სკოლის ბიბლიოთეკარის თანამდებობრივ ინსტრუქციებში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვას, ქმნის კითხვისა და წიგნით დაინტერესების ატმოსფეროს, ეხმარება როგორც მოსწავლეებს, ასევე, მასწავლებლებს მასალის მოძიებაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ● ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;<br>● ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქცია;<br>● ვიზუალური დათვალიერება;<br>● გასაუბრება ბიბლიოთეკართან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს არ ირიცხებოდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, თუმცა, სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო. შენობის ასასვლელ კიბეებზე განლაგებულია ხის ასაკეცი პანდუსები, ხოლო შენობის მესამე სართულზე ადაპტირებულია ერთი სველი წერტილი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ● ვიზუალური დათვალიერება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და | სკოლის მფლობელობაშია ინტერნეტში ჩართული 14 კომპიუტერი; მათგან 7 პერსონალური კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, 1 ბიბლიოთეკაში, 1 სამასწავლებლოში, 2 დარაჯის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ანალიზი | ოთახში, 2 ლეპტოპი კანცელარიაში და 1 ლეპტოპი ექიმის კაბინეტში. გარდა ამისა, სკოლას აქვს ერთი კომბაინის აპარატი (ქსეროქს-პრინტერი).<br><br>სკოლას აქვს ვებგვერდი https://almasi.edupage.org/, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, აგრეთვე, სიახლეები, ფოტოგალერეა და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის ვებგვერდი განახლების პროცესშია და შესაბამისად ინფორმაცია არასრულად არის ასახული.<br><br>სტანდარტის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეივსოს სკოლის ვებგვერდის მენიუში არსებული განყოფილებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ● ზედნადები;<br>● ვიზუალური დათვალიერება;<br>● ვებგვერდი https://almasi.edupage.org/;<br>● ნასყიდობის ხელშეკრულება ნ.124; 21 აგვისტო 2022 წელი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლა აღჭურვილია 7 ცეცხლმაქრით. ცეცხლმაქრები დამუხტულია. დამონტაჟებულია კვამლის აღმომჩენი 60 დეტექტორი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორე | ● ზედნადები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ბი: | • ვიზუალური დათვალიერება.<br>• სკოლის ექიმ-პედიატრის თანამდებობრივი ინსტრუქცია;<br>• შპს სამეცნიერო საწარმოო ფირმა ალმასის სახანძრო უსაფრთხოების გეგმა;<br>• სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საევაკუაციო გეგმები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც აქვს როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი განათების წყარო. კაბინეტში არის გამართულად ფუნქციონირებადი ხელსაბანი, რომელიც აღჭურვილია თხევადი საპნითა და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი საშუალებებით. კაბინეტში არ იყო გამოყოფილი პაციენტის გასასინჯი სივრცე.<br><br>კაბინეტში არის სამედიცინო ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, 1 ლეპტოპი, კარადა, მაცივარი, სამედიცინო ტახტი. კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი მოხმარების მედიკამენტებით, რომლებიც სისტემატურად ახლდება. მედიკამენტები ინახება კარადაში, რომელიც იკეტება.<br><br>სკოლას ჰყავს 1 ექიმი, რომელიც ამავე დროს არის ბიოლოგიის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებელიც. მისი სამუშაო საათები ორშაბთს, ოთხშაბათსა და პარასკევს არის 9.00 სთ-დან 16 საათამდე, ხოლო სამშაბათსა და ხუთშაბათს 15:00 სთ-დან 18 საათამდე. დირექტორის განმარტებით, ექიმს სამშაბათსა და ხუთშაბათს აქვს გაკვეთილები და მას ამ დროს ცვლის ექთანი. სკოლის ექიმი-პედიატრის თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრულია მისი ფუნქციები და მოვალეობები. ექიმი აღრიცხავს სკოლაში გაწეულ სამედიცინო მომსახურებას, მოსწავლეთა სკოლაში მიღებისას ამოწმებს მათ ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით; უბედური შემთხვევისას აღმოუჩენს პირველად სამედიცინო დახმარებას და ორგანიზებას უწევს სტაციონარამდე ტრანსპორტირებას; სისტემატურად ახორციელებს მოსწავლეთა ჯანმრთელობის, ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ განვითარებაზე მეთვალყურეობას; კონტროლს უწევს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას; ხელმძღვანელობს მოსწავლეებსა და სკოლის პერსონალთან სამუშაოებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის.<br><br>სტანდარტის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიძინოს გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით ტიხრული შირმა ან გამყოფი ბარიერით (ფარდით) გამოყოს პაციენტის გასასინჯი სივრცე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სკოლის ექიმ-პედიატრის თანამდებობრივი ინსტრუქცია;<br>• მედიკამენტების სასაქონლო ზედნადები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის | სკოლას შემუშავებული აქვს წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლას ჰყავს უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მენეჯერი და დარაჯი. შპს სამეცნიერო საწარმოო ფირმა “ალმასმა” 2020 წლის 22 იანვრის N4/1056 განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად გაგზავნა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.<br><br>ვიზიტის დროს სკოლის ტერიტორია არ იყო სრულად შემოღობილი. მოსწავლეებს შეეძლოთ თავისუფლად გასვლა სკოლის ტერიტორიიდან, ხოლო გარეშე პირებს შემოსვლა. სკოლის ადმინისტრაციასა და მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მშობლებს აქვთ ინფორმაცია მოსწავლეების მიერ სკოლის ტერიტორიის ზოგიერთ შემთხვევაში დატოვების შესახებ. მოსწავლის გარკვეული დროით სკოლის ტერიტორიიდან გასვლას მშობლები და დამრიგებლები ერთმანეთთან ზეპირსიტყვიერად ათანხმებენ. დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია სასადილო სივრცის დროებითი დაკეტვით.<br><br>ექსპერტთა აზრით, დარღვეულია მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის პრინციპები. გამომდინრე აქედან, გაიცა რეკომენდაცია სკოლის ტერიტორის შემოღობვის, მოსწავლეთა მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვების კონტროლის მექანიზმის შემუშავებისა და მათი საჭიროების გადაჭრის შესახებ (სასადილო სივრცის ამუშავება).<br><br>სკოლის ადმინისტრაციამ ვიზიტის მეორე დღეს (დისტანციურად მუშაობის დღეს) სსიპ განათლების ხარისხისი განვითარების ეროვნულ ცენტრს გამოუგზავნა ფოტომასალა, სადაც ასახულია ეზოს შემოუღობავი მხარის გადაღობვა.<br><br>**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემუსული შპს სამეცნიერო საწარმოო ფირმა ალმასის 2022 წლის 21** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

![logo] 

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | დეკემბერის N4/44 წერილის მიხედვით „ ... 1. სკოლის შენობის რეკონსტრუქციისას (დამთავრდა 2022 წლის ივლისში) მოხსნილი ეზოს ღობე აღდგენილი იქნება ექსპერტების ვიზიტისას-შემოიღობა კუთხოვანაში ჩასმული მავთულ-ბადით. 2. სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლა და გასვლა ხდება მხოლოდ ერთი, ცენტრალური გასასვლელიდან (ჭიშკრიდან) 3. მოსწავლეების სკოლის შენობაში შემოსვლა და გასვლა აღირიცხება ელექტრონული მოწყობილობით (სიგნალი მიდის მშობლის ელფოსტაზე), კონტროლდება კარისკაცის მიერ და უსაფრთხოების კამერების საშუალებით. 4. „დიდ“ დასვენებაზე VII-XII კლასების მოსწავლეები (დაწყებითი კლასების მოსწვალეებს საკვები მოაქვთ სახლიდან კონტეინერებით) საკვების შესაძენად, ითხოვენ სკოლის ტერიტორიის დატოვებას. ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან მათი მშობლები. ამასთან, დირექტორის ბრძანებით, კლასის დამრიგებლებს დაევალათ მოსწავლეების გაცილება-დაბრუნების უზრუნველყოფა. კონტროლი დაევალა სკოლის უსაფრთხოების მენეჯერს. 4. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბუფეტი, რომელმაც პანდემიის დროს შეწყვიტა მუშაობა. მეორე სემესტრიდან ვგეგმავთ მის ამოქმედებას სათანადრო რეგულაციებით.. ამასთან, სახელმწიფო მუშაობს სასკოლო კვების პროგრამაზე (დაგვირიგდა კითხვარები), რომელშიც კერძო სკოლებიც ჩავერთვებით და პრობლემაც მოიხსნება. ...“. დაწესებულებამ ამავე წერილს თან დაურთო შპს სამეცნიერო საწარმოო ფირმა ალმასის სკოლის დირექტორის 2022 წლის 21 დეკემბრის ბრძანება N113, რომლის შინაარსიც შემდეგია „ ... მოსწვალეთა მეტი უსაფრთხოების მიზნით, დაევალოთ VII-XII კლასის დამრიგებლებს „დიდ“ დასვენებაზე, საკვების შესაძენად,სკოლის ტერიტორიის დატოვების მსურველი მოსწავლეების გაცილება და დაბრუნების უზრუნველყოფა. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლის უსაფრთხოების მენეჯერს. ...“ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორე | • ვიზუალური დათვალიერება;. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ბი: | • გასაუბრება ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და მშობლებთან. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის შიგნით დამონტაჟებულია 4 კამერა, რომლებითაც კონტროლდება დერეფნები და კიბის უჯრედები, ხოლო გარე პერიმეტრს აკონტროლებს 6 ვიდეოკამერა. სულ სკოლა აქვს 10 ვიდეოკამერა, რომლებიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების ბრძანებას.<br><br>კომპიუტერულ კაბინეტში დამონტაჟებული იყო კამერა. ის იყო გამორთული. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ არსებული კამერა მოეხსნა ან შეეფუთა. ვიზიტისას უსაფრთხოების კამერა მოიხსნა და დამონტაჟდა სკოლის პირველ სართულზე.<br><br>სკოლის შენობაში არ იყო გამოკრული ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების შესახებ საინფორმაციო-გამაფრთხილებელი ნიშანი, დერეფნებში გასასვლელის მიმართულების ნიშნები და საგანგებო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სიტუაციების მართვის სამსახურის ნომერი (112). სტანდარტის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გამოსწორების შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასაქონლო ზედნადები;<br>• ვიზუალური დათვალიერება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სამეცნიერო სამეწარმეო ფირმა “ალმასს” მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს: სკოლის წესდება, შინაგანაწესი და სამსახურებრივი ინსტრუქციები.<br><br>**სკოლის წესდებით** განსაზღვრულია დაწესებულების სტატუსი (2003 წლის 22 მაისი, ოქმი № 2 , ახალი რედაქციით 2022 წლის 1 სექტემბერი, ოქმი № 1), ძირითადი მიზნები და ამოცანები, სასწავლო პროცესი, სასწავლო პროცესის მონაწილენი, სკოლის მართვა, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა, შიდა სასკოლო და საზოგადოებრივი კონტროლის ფორმები და წესდებაში ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.<br><br>**სკოლის შინაგანაწესის** მიზანია, განსაზღვროს სკოლის შიგნით მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების სისტემა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმები, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება, სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობები, სამუშაო დროის სრული და რაციონალური გამოყენება, სკოლაში შრომის დისციპლინის განმტკიცება.<br><br>სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღების, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გადაყვანისა და და დათხოვნის წესი; თანამშრომელთა და ადმინისტრაციის ძირითადი მოვალეობანი; სამუშაო დრო და პირობები; დირექტორის განკარგულებათა თანამშრომლებამდე დაყვანისა და ინფორმირების წესი წახალისება წარმატებისთვის; პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და დათხოვნის პირობები; მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები; მოსწავლის მშობლისა (კანონიერი წარმომადგენლის) და სკოლის ურთიერთ უფლება-მოვალეობანი; მოსწავლეთა ვალდებულებები; მოსწავლის წახალისება წარმატებისა და შეუფერებელი ქცევის შედეგების გარკვეული დისციპლინური ზომები; შეფასების სისტემა; სკოლის შიდა კონტროლის განხორციელებისა და შინაგანაწესის ცვლილების წესი.<br><br>დაწესებულების ყველა თანამშრომელი, პედაგოგი, მოსწავლე და მშობელი ვალდებულია დაიცვას სკოლის შინაგანაწესი. დასაქმებული აუცილებლად გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით.<br><br>თანამდებობრივ ინსტრუქციებში დეტალურად არის გაწერილი სკოლის ყველა თანამშრომლის უფლება-მოვალეობები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• სამსახურეობრივი თანამდებობრივი ინსტრუქციები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მიერ შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. დაწესებულებამ წარმოადგინა შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასის“ სტრატეგიული დაგეგმვის კვლევის ანგარიში, რის საფუძველზეც შედგენილია სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა.<br><br>კვლევის მიზანს წარმოადგენდა სკოლის მდგომარეობის დადგენა სასწავლო წლის დასაწყისისათვის, შემდეგი მიმართულებების მიხედვით: 1. სკოლის მართვა და გადაწყვეტილებები; 2. სწავლა-სწავლება; 3.დაგეგმვა-შეფასება; 4. სკოლის გარემო და ურთიერთობები. კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა დოკუმენტების ანალიზი, ფოკუსირებული და ჩაღრმავებული ინტერვიუები.<br><br>შპს სამეცნიერო საწარმოო ფირმა “ალმასის” მიერ წარმოდგენილი სტრარეგიული დაგეგმვის კვლევის ანგარიშის გაცნობისას გამოიკვეთა სკოლის სტაბილური და გასაუმჯობესებელი მხარეები. დაწესებულების კვლევის საფუძველზე სტაბილური მხარეა სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებს შორის პოზიტიური ურთიერთობები და თითოეულ მათგანს ეძლევა თვითრეალიზაციის საშუალება; მოსწავლეთა მაღალი მიღწევები ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებსა და კურსდამთავრებულთა შედეგები ეროვნულ გამოცდებზე; სკოლის კარგი იმიჯი მიმდებარე მიკრორაიონში.<br><br>შპს სამეცნიერო საწარმოო ფირმა “ალმასის” განვითარების ექვსწლიანი გეგმა მოიცავს 2023-2029 წლებს. ამ ეტაპზე სკოლა ამთავრებს შენობის რეკონსტრუქციას და პრიორიტეტად ისახავს უსაფრთხო წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნას. სამოქმედო გეგმის მიმართულებებია: სასწავლო პროცესთან დაკავშირებული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დოკუმენტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით, თვითშეფასების სიტემის ჩამოყალიბება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა, მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, მასტიმულირებელი ბერკეტი სწავლებისა და აღზრდის საქმეში. თითოეული მიმართულებიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესასრულებელი საქმიანობა, განხორცილების დრო და პასუხისმგებელი პირი.<br><br>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, სასწავლო რესურსებით აღჭურვის, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნის მიზნით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს სკოლის შენობის რეკონსტრუქცია, ეზოს გამწვანება, სპორტული მოედნის კეთილმოწყობა,საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის დახვეწა და განვითარება, სკოლის ქართულენოვანი ვებგვერდის განახლება და ასევე ინგლისურენოვანი ვებგვერდის შექმნა, სკოლის საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტების დაბეჭდვა, წიგნადი ფონდის გაზრდა,ბ საკლასო ოთახებისა და ლაბორატორიების თვალსაჩინოებებითა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა, საგნობრივი კაბინეტების მოწყობა, საკონფერენციო დარბაზის მოწყობა, სასადილო ოთახის გარემონტება.<br><br>სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია ძირითადი მიმართულებები, სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი ღონისძიებები, განხორციელების ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ერთწლიან გეგმაში ასევე ასახულია ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემის განვითარება, მატერიალური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბაზის სრულყოფა და გაუმჯობესება და უსაფრთხო გარემოს შექმნა. კერძოდ, სკოლის აღჭურვა დამატებითი კომპიუტერებით; სკოლის ვებგვერდის მოდერნიზება; სკოლის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის შექმნა; სკოლის თანამშრომელთა გადამზადება ონლაინ ჟურნალის წარმოებისათვის; ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სტანდარტის შესაბამისი ღონისძიებების (სათადარიგო კიბის, ხანძარსაწინააღმდეგო სტენდის და ევაკუაციის გეგმის განთავსება) განხორციელება; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება; სკოლის შენობის რეკონსტრუქცია და რემონტი სსსმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა; სათვალთვალო და დაცვის სისტემების მონტაჟი.<br><br>კვლევის ანგარიშის გაცნობისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ნაკლებად არიან ჩართულნი სასკოლო - სასწავლო და სტრატეგიული გეგმების შედგენის პროცესში თუ სხვა სასკოლო საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, 6 - წლიან სამოქმედო გეგმაში, რომელშიც მითითებულია პასუხისმგებელი პირები, ძირითადი როლი გადანაწილებულია დირექტორსა და ადმინისტრაციაზე, სასურველი იქნებოდა პედაგოგების მეტი ჩართულობა. ასევე მიგვაჩნია, რომ დოკუმენტებში გაწერილი ზოგიერთი პუნქტი თუ ამოცანა ძალზე ზოგადია და საჭიროებს მეტ დაკონკრეტებას. ექსპერტებმა სკოლას ურჩიეს: ამოცანები და მიზნები ფორმულირებული იყოს კონკრეტულად და მარტივად, რათა გასაგები და ნათელი გახდეს სკოლით დაინტერესებული ყველა პირისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სამეცნიერო საწარმოო ფირმა “ალმასის” სკოლის განვითარების ერთწლიანი სტრატეგიული გეგმა;<br>• შპს სამეცნიერო საწარმოო ფირმა “ალმასის” ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა;<br>• შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „ალმასის“ სტრატეგიული დაგეგმვის კვლევის ანგარიში<br>• გასაუბრება დირექტორთან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
|---|---|

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების წესი. მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. სკოლამ წარმოადგინა საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებების, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებების ჟურნალები, ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მოსწავლეთათვის და მასწავლებელთათვის.<br><br>საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დალუქულია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით. ჟურნალების შესაბამის საქაღალდეებში დაცულია შესაბამისი კორესპოდენციის ასლები ან დედნები.<br><br><u>სკოლაში ბრძანებები იწერება ხელნაწერი ფორმით, რომლებსაც ცალკეულ შემთხვევებში არ აქვთ კონრეტული რეკვიზიტები. მაგ.: ბრძანების გასაჩვრების ვადა, საჩივრის წარდგენის დაწესებულება და მისი მისამართი. გამომდინარე აქედან, ექსპერტებმა რეკომენდაციით მიმართეს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელებს, რათა განხორციელებულიყო შესაბამისობა ,,ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან“ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების რეკვიზიტების ნაწილში (მუხლი 52, პირველი და მე - 2 პუნქტი).</u><br><br><u>გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების რეგულირების, დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების დოკუმენტაციაზე დატანილი იყოს დამტკიცების</u> |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რეკვიზიტები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ● საქმისწარმოების წესი;<br>● შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>● გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>● საერთო ბრძანებების, საკადრო ბრძანებების, მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებების ჟურნალები;<br>● შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | ექსპერტთა აზრით, დარღვეულია მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის პრინციპები. გამომდინრე აქედან, გაიცა რეკომენდაცია სკოლის ტერიტორის შემოღობვის, მოსწავლეთა მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვების კონტროლის მექანიზმის შემუშავებისა და მათი საჭიროების გადაჭრის შესახებ (სასადილო სივრცის ამუშავება). |
| რჩევები: | 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები<br><br>*სტრატეგიული გეგმის განხორციელების კვლევის ანგარიშის გაცნობისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ნაკლებად არიან ჩართულნი სასკოლო - სასწავლო და სტრატეგიული გეგმების შედგენის პროცესში თუ სხვა სასკოლო საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, 6 - წლიან სამოქმედო გეგმაში, რომელშიც მითითებულია პასუხისმგებელი პირები, ძირითადი როლი გადანაწილებულია დირექტორსა და ადმინისტრაციაზე, სასურველი იქნებოდა პედაგოგების მეტი ჩართულობა. ასევე მიგვაჩნია, რომ დოკუმენტებში გაწერილი ზოგიერთი პუნქტი თუ ამოცანა ძალზე ზოგადია და საჭიროებს მეტ დაკონკრეტებას. ექსპერტებმა სკოლას ურჩიეს: ამოცანები და მიზნები ფორმულირებული იყოს კონკრეტულად და მარტივად, რათა გასაგები და ნათელი გახდეს სკოლით დაინტერესებული ყველა პირისათვის.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ხარვეზები: | *2.6.* სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:<br>**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად**<br><br>*ვიზიტის დროს სკოლის ტერიტორია არ იყო სრულად შემოღობილი. მოსწავლეებს შეეძლოთ თავისუფლად გასვლა სკოლის ტერიტორიიდან, ხოლო გარეშე პირებს შემოსვლა. სკოლის ადმინისტრაციასა და მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მშობლებს აქვთ ინფორმაცია მოსწავლეების მიერ სკოლის ტერიტორიის ზოგიერთ შემთხვევაში დატოვების შესახებ. მოსწავლის გარკვეული დროით სკოლის ტერიტორიიდან გასვლას მშობლები და დამრიგებლები ერთმანეთთან ზეპირსიტყვიერად ათანხმებენ. დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია სასადილო სივრცის დროებითი დაკეტვით.*<br><br>*ექსპერტთა აზრით, დარღვეულია მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის პრინციპები. გამომდინრე აქედან, გაიცა რეკომენდაცია სკოლის ტერიტორის შემოღობვის, მოსწავლეთა მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვების კონტროლის მექანიზმის შემუშავებისა და მათი საჭიროების გადაჭრის შესახებ (სასადილო სივრცის ამუშავება).* |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| |
|---|
| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი |

| ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პროცესის გასახორციელებლად ჰყავს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში, დირექტორის მოადგილე/პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების პროგრამის მენეჯერი, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში, ბუღალტერი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, ბიბლიოთეკის გამგე, ფსიქოლოგი, საქმისწარმოებელი, კარისკაცი, დამლაგებელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და 24 სხვადასხვა საგნის მასწავლებელი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საშტატო განრიგი;<br>• გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 24 |
| მოწვეული/მაძიებელი | 2 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი/მოწვეული/პირობითი ხელშეკრულებით | 6 |
| უფროსი მასწავლებლი | 16 |
| წამყვანი მასწავლებლი | 0 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაციები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის/საგნობრივი ჯგუფისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს და შერჩეულები არიან „ზოგადი |

| | |
|---|---|
| | განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად გარდა ერთი შემთხვევისა. კერძოდ, აღნიშნული კანონის 21-ე მუხლის (მასწავლებლის სხვა უფლებები და მოვალეობები) „1[2]“ პუქნტის მიხედვით „მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა“. აღნიშნული მოთხოვნა სკოლას გათვალისწინებული აქვს საკუთარ შინაგანაწესში, თუმცა, მასწავლებლების პირადი საქმეების გადამოწმებისას, ერთის გარდა, არცერთში არ იყო სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა ნასამართლეობის შესახებ. ყველა პირად საქმეში იყო მოთავსებული ამავე დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის შესახებ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლებს აღებული აქვთ ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის შესახებ, ასევე აიღონ სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა ნასამართლეობის შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საშტატო განრიგის ბრძანება;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღების, წახალისებისა და სანქციების სისტემა. აღწერილია თანამშრომლის დაწესებულებაში დასაქმებისას წარმოსადგენი დოკუმენტაცია, წახალისების სამ (მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრის გადაცემა; პრემია ან ფულადი ჯილდო და სხვა.) და დისციპლინური სანქციის ოთხ (შენიშვნა, საყვედური, სასტიკო საყვედური, დათხოვნა) ფორმას. განსაზღვრულია დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძლები, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თუმცა, არ ირკვევა რომელიდ დისპციპლინური სახდელი რა შემთხვევაში დაეკისრება დასაქმებულს. გამომდინარე აქედან, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შინაგანაწესში დააკონკრეტოს, რომელ დისციპლინურ საკითხს, რა შემთხვევაში გამოიყენებს დასაქმებულთან მიმართებაში.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის შერჩევის წესი. ექსპერტთა მიერ https://teacherjobs.ge/-ზე გადამოწმდა რამდენად ასრულებდა დაწესებულება წესში მითითებულ კონკურსის გამოცხადების პირობას. გადამოწმების მიხედვით დაწესებულება აცხადებს ღია კონკურსს დაწესებულებაში არსებული მასწავლებლის ვაკანსიების შესახებ (https://teacherjobs.ge/?position=&subject=&class=&school=202059431&district=). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• მასწავლებლის შერჩევის წესი;<br>• https://teacherjobs.ge/?position=&subject=&class=&school=202059431&district= |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. მასწავლებლებთან სტატუსისა და შესაბამისი ფუნქციების მითითებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • გაფორმებული ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიულ კვალიფიკაციათა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | განვითარების ხელშეწყობის ჯგუფის დებულება და სამეცნიერო საწარმოო ფირმა ,,ალმასის'' მასწავლებელთა პროფესიონალური განვითარების, შეფასებისა და წახალისების სისტემა. დოკუმენტების შინაარსები განსაზღვრავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობებს, აქტივობებში დასაგროვებელ კრედიტთა რაოდენობებსა და შესაბამის შეფასების რუბრიკებს. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს საგაკვეთილო დაკვრირვებას, აღნიშნული პროცესი არ არის დიფერენცირებული მასწავლებლის სტატუსების მიხედვთ სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული წესი, შესაბამისობაში მოვიდეს „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებასთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის ჯგუფის დებულება;<br>• სამეცნიერო საწარმოო ფირმა ,,ალმასის'' მასწავლებელთა პროფესიონალური განვითარების, შეფასებისა და წახალისების სისტემა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ვიზიტისა და ჩატარებული გასაუბრებების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და ურთიერთპატივისცემის გარემო. მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა სასკოლო და სკოლის გარეთა აქტივობის ერთობლივად დაგეგმვის შემთხვევებს. მასწავლებლები და მოსწვალეების მშობლები თანამშრომლობენ ერთამენთთან. სკოლის შინაგანწესში, წესდებასა და სკოლის სტრუქტურულ ერთეულების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დებულებებში გაწერილი სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებით შესაძლებელი იქნება პასუხისმგებლობების გადანაწილება და შესაძლებლობების გამოვლენა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის წესდება;<br>• სტრუქტურული ერთეულების დებულებები;<br>• სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება;<br>• სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>• სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 29.12.2022 წ.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 50 გვერდი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.